დეკანის ბრძანება № 7/2015

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე აზიის სამეცნიერო ბანაკში მონაწილე სტუდენტთა შესარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. გამოცხადდეს კონკურსი სტუდენთა შესარჩევად „აზიის სამეცნიერო ბანაკი 2015“ მონაწილეობისათვის.
2. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის საბაკალავრო პროგრამების სტუდენტებს.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2015 წლის 20 თებერვლიდან 2015 წლის 25 თებერვლის ჩათვლით. საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების თარიღად განისაზღვროს 2015 წლის 26 თებერვალი.
4. კონკურსში მონაწილეობის მოთხოვნები:
   - მაღალი აკადემიური მოსწრება;
   - საბაკალავრო პროგრამაზე სწავლების პირველი ან მეორე წელი;
   - ინგლისური ენის ცოდნა (კომუნიკაცია, წერა, კითხვა).
5. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს
   - სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);
   - CV (ინგლისურ ენაზე);
   - ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ სემესტრის და საბაკალავრო პროგრამის მითითებით;
   - ამონაწერი სასწავლო ბარათიდან;
   - პირადობის მოწმობის ასლი.

რამაზ ბოჭორიშვილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

19.02.2015